



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

12-14 აპრილი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
უმაღლესი განათლების საფეხური	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #122 07.08.2015

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიშელ მაკლინი, ბონდის უნივერსიტეტი, ავსტრალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ნინო ჩიხლაძე,

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯილდა ჭეიშვილი, თბილისის ღია უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი, კავკასიის სამედიცინო ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექვსწლიანი ერთსაფეხურიანი დიპლომირებური მედიკოსის პროგრამა ინგლისურ ენაზე საერთაშორისო სტუდენტებისა და ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებმაც, შესაძლოა, სხვაგან მიიღეს განათლება. სამი ფაზა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, პრე-კლინიკური და კლინიკური. არსებობს დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც მოითხოვს, რომ კურსდამთავრებულები აკმაყოფილებდნენ პრაქტიკის ეროვნულ სტანდარტებს ცოდნის, უნარების, კომპეტენციების, პროფესიონალიზმის ჩათვლით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

მხოლოდ ორმა წევრმა (თავმჯდომარემ და ერთმა წევრმა) ვერ შეძლო პირადად დაწესებულების მონახულება, თუმცა „დაესწრნენ“ ზუმის საშუალებით. პირველ დღეს, ექსპერტთა გუნდმა მოინახულა პათოლოგიის ობიექტები და კლინიკური უნარების ცენტრები, ასევე სამი სამედიცინო დაწესებულება, სადაც სტუდენტები სწავლობენ. მეორე დღეს დაიწყო ინტერვიუები თსსუ-ს ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ყველა სამედიცინო პროგრამაში. დღის დანარჩენი ნაწილი დაეთმო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს რუსულენოვანი პროგრამიდან. რუსულენოვანი პროგრამის დანარჩენი ინტერვიუები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელები) შედგა მესამე დღეს. მე-3 დღე დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარი მიგნებების წარდგენით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ჩვენი ცოდნის შესაბამისად, სხვადასხვა დოკუმენტების (დარგობრივი მახასიათებელი, თვითშეფასების ანგარიში, 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სილაბუსები და სხვ.) განხილვის შედეგად, ასევე სხვადასხვა სასწავლო ლაბორატორიაში და კლინიკურ ობიექტებზე ვიზიტის, ინტერვიუების შედეგად დავასკვნით, რომ ინგლისურენოვანი პროგრამა უმეტესწილად შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს. არსებობს საკითხები, რომლებსაც ყურადღება სჭირდება, მაგალითად, დაშვების კრიტერიუმების ცვლილება პირველი წლიდან მეორე წლამდე გადინების შემცირების და შეფასების, სილაბუსების დოკუმენტაციის და ხარისხის საერთაშორისო დონესთან შესაბამისობის (მაგ; შესაბამისი არჩევითი საგნების საშუალებით) მიმართ მეტი თანმიმდევრულობის მიზნით. მიუხედავად ამისა, ეს გრძელვადიანი ცვლილებებია და არ არის საჭირო მისი განხილვა ამ აკრედიტაციისთვის.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საერთო დოკუმენტი, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო მიდგომებისა და შეფასების ტიპების ტერმინოლოგიას, ისე, რომ სტუდენტებსა და თანამშრომლებს ურთიერთგაგებისა და მოლოდინების მხრივ ერთიანი ხედვა ჰქონდეთ. კარგი იქნება, თუ ამის ჩვენება მოხდება წლების მიხედვით, შეფასების ცვლილებასთან ერთად, რომელიც მოიცავს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას, სამუშაო ადგილზე შეფასებას (WBA) და ა.შ.
- დაშვების უფრო მკაფიო მოთხოვნები. გარდა ამისა, გადინების შესამცირებლად, ალბათ, ინგლისური ენის უკეთესი ცოდნის უზრუნველყოფა (წერა, მოსმენა, საუბარი). არსებობს საგულისხმო გადინება პირველი კურსიდან მეორე კურსზე გადასვლის დროს.
- სილაბუსების შაბლონი, თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები გამოავლინა:

- პერსონალიზებული ელექტრონული უკუკავშირი შეფასების შემდეგ.
- საკმარისი კლინიკური განაწილების ადგილები და შესაძლებლობები კლინიკური სტუდენტებისათვის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. ის ფაქტი, რომ თსსუ-ს აქვს საკუთარი საავადმყოფოები, ძალიან კარგია.
- კლინიკური სტუდენტებისათვის ადგილზე საგანმანათლებლო ობიექტების არსებობა.
- კლინიკური სტუდენტებისათვის ადგილზე არის პირადი სივრცე და საშუალებები.
- ბიბლიოთეკა მდიდარია რესურსებით და დაკავშირებულია სწავლის მართვის სისტემასთან.
- მოტივირებული, ენთუზიაზმით სავსე და შრომისმოყვარე აკადემიური პერსონალი, რომელიც გულწრფელად არის დაინტერესებული სტუდენტებით, როგორც აკადემიური, ასევე პირადი თვალსაზრისით. სტუდენტებმა და

კურსდამთავრებულებმა გამოყვეს დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, როგორც მენტორი, რომელიც საკმარისზე მეტს აკეთებდა ინდივიდუალურად ყველა სტუდენტისთვის და ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო.

- ფაკულტეტის გულუხვი მხარდაჭერა ფაკულტეტის განვითარებისა და კვლევის თვალსაზრისით.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კლინიკური უნარების მასშტაბური ცენტრი, რომელიც კარგად არის აღჭურვილი და ემსახურება პროგრამის ყველა საფეხურის სტუდენტს.

ფაკულტეტი იმსახურებს ქებას COVID-19-ზე მისი რეაგირების გამო, სტუდენტების მხარდაჭერის თვალსაზრისით (ფინანსურად და პირადად), განსაკუთრებით ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში, იმ სამუშაოსთვის, რომელიც ფაკულტეტმა გასწია COVID-ის დროს სტუდენტების საქართველოში დაბრუნების მიზნით. აქ იგულისხმება ჩართული ფრენებიც.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი, სასწავლო გეგმამ განიცადა რიგი ცვლილებები, კერძოდ:

- მეტი ინტეგრაცია
- გერიატრიის დამატება
- დამატებითი არჩევითი საგნები

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ეს არ არის აღნიშნული, ჩანს, რომ ხდება სასწავლო გეგმის განახლება სასწავლო პროგრამის პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო ინტეგრირებული (ჰორიზონტალური და ვერტიკალური), პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომის თვალსაზრისით. ეს იძლევა სხვადასხვა პროგრამის საერთაშორისო სტუდენტებისათვის მორგების საშუალებას. იგი, ასევე, იდენტიფიცირებას უკეთებს არასაჭირო და უსარგებლო საკითხებს და ამატებს შესაბამის ახალ თემებს, როგორცაა პლანეტარული ჯანმრთელობა.

კიდევ ერთხელ აღსანიშნავია თსსუ-ს რეაგირება COVID-თან დაკავშირებით საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ არის ნაჩვენები ეს. სტუდენტები მაღლიერებას გამოხატავენ ამ ფაქტთან დაკავშირებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ოთხი ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სხვადასხვა შრომის ბაზრისთვისაა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს დაახლოებით 80-85% გადაფარვა ან იგივეობა, დარჩენილი 15-20% უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ შრომის ბაზარზე. ამის გაკეთება შესაძლებელია არჩევითი საგნების საშუალებით. სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეარჩიონ არჩევითი საგნები, რომლებიც მოიცავს სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებულ თემებს მათ მშობლიურ ქვეყანაში თუ გლობალურად. არსებობს პარაზიტოლოგიის არჩევითი საგანი, რომელიც მიზანშეწონილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის აზიისა და აფრიკის დაბალი/საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. ტროპიკული მედიცინა ორჯერა იქნა ნახსენები, როგორც ისეთი რამ, რაც აქტუალური იქნებოდა ინდოელი და შრი-ლანკელი სტუდენტებისათვის. სხვა არჩევითი საგანი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საკუთარ ქვეყანაში.

ვინაიდან პროგრამები უფრო მეტად ხდება პრობლემაზე ორიენტირებული ინტეგრაციის გაუმჯობესების და ძირითადი შინაარსის იდენტიფიცირების მიზნით, შესაძლოა მოხდეს სამოგზაურო მედიცინის კუთხით რამდენიმე შემთხვევის განხილვა. მაგალითად, შეიძლება იყოს ბიზნესმენის შემთხვევა, რომელმაც იმოგზაურა ინდოეთში და დაისვენა ეროვნულ პარკში. მან შემთხვევით კბილები გამოიხეხა ონკანის, და არა ბოთლის წყლით და განუვითარდა დიარეა (კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, კოლის ინფექცია და ა.შ.) მეორემ შესაძლოა იმოგზაურა დელიში (ჰაერის დაბინძურება) და განუვითარდა სასუნთქი გზების პრობლემები (რესპირატორული სისტემა, პმ 2.5, გლობალური გარემოსდაცვითი ჯანმრთელობა, და ა.შ.)

პროგრამა განსაზღვრავს მიზნებს და გვთავაზობს ექვსწლიან პროგრამას ამ მიზნების მისაღწევად სასწავლო გეგმის რუკის საშუალებით, რომელშიც შედის სხვადასხვა კრედიტების საგნები/კურსი, ასევე თითოეული საგნის სასწავლო გეგმის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია კრედიტები, საგანმანათლებლო მიდგომები და შეფასების დეტალები. პროგრამა მოიცავს სამ მკაფიო ფაზას: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, პრე-კლინიკური და შემდეგ კლინიკური ასპექტები. მიმდინარე პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში განისაზღვრა უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. ეს აღწერილია დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით და 13 კომპეტენციის შერჩევა განხორციელდა სამი დონის მიხედვით: დონე 1- გაცნობა, დონე 2- გაღრმავება, დონე 3- გაღრმავება. თვითშეფასების გუნდი შექმნას იმსახურებს სწორი რუკების გაკეთებისთვის უმაღლესი განათლებისა და დარგობრივი

მახასიათებლების მიხედვით.

ამ კრიტერიუმის შესაფასებლად შეფასების კრიტერიუმების თანახმად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განსაზღვრავს, რომ აკრედიტაციისთვის შეფასების დროს "გათვალისწინებულ უნდა იქნას ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, შრომის საერთაშორისო ბაზრების ტენდენციები, აგრეთვე მეცნიერება / სფერო, სახელმწიფო და / ან საზოგადოებრივი საჭიროებები". ეს არ იყო ჯეროვნად აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ განხილულ იქნა ინტერვიუების დროს.

სტანდარტი ითხოვს, პროგრამაში აისახოს მისი წვლილი ამ სფეროს და საზოგადოების განვითარებაში. ეს პირდაპირ არ იყო განხილული თვითშეფასების ანგარიშში.

ოთხი ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სხვადასხვა შრომის ბაზრისთვისაა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს დაახლოებით 80-85% გადაფარვა ან იგივეობა, დარჩენილი 15-20% უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ შრომის ბაზრებზე. ამის გაკეთება შესაძლებელია არჩევითი საგნების საშუალებით. სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეარჩიონ არჩევითი საგნები, რომლებიც მოიცავს სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებულ თემებს მათ მშობლიურ ქვეყანაში თუ გლობალურად. არსებობს პარაზიტოლოგიის არჩევითი საგანი, რომელიც მიზანშეწონილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის აზიასა და აფრიკაში დაბალი /საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. ტროპიკული მედიცინა ორჯერაა მოხსენიებული, როგორც ისეთი რამ, რაც აქტუალური იქნებოდა ინდოელი და შრი-ლანკელი სტუდენტებისათვის. სხვა არჩევითი საგანი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საკუთარ ქვეყანაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროცესების გამარტივება და გამჭვირვალობის ამაღლება

- პროგრამა აცხადებს, რომ შემსწავლელზეა ორიენტირებული, მაგრამ დოკუმენტებსა და საუბრებში აქცენტი გაკეთებულია „სწავლებაზე“. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დროს ყურადღება გამახვილებულია სწავლაზე და არა სწავლებაზე. პედაგოგები უნდა იყვნენ გვერდით მდგომი ხელმძღვანელები და არა ბრძენები, რომლებიც სცენიდან საუბრობენ.

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესება: კომპონენტების დამატება, სადაც სტუდენტები შეძლებენ სამედიცინო პრაქტიკის განხორციელებას.

„საზოგადოების განვითარების“ გაუმჯობესება.

თუ ეს აღიქმება როგორც სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც დაწესებულების, ისე თსსუ-ს კურსდამთავრებულებში ამ ეთოსის განვითარების კუთხით, ფაკულტეტმა შეიძლება ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე:

1. გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (სახელწოდებით გლობალური მიზნები) გამოყენება სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისთვის. ამ გზით, ყველა კურსდამთავრებული მზად იქნებოდა სოციალური და ეკოლოგიური საკითხების გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც დგას კაცობრიობა.

სტუდენტების მიერ უფრო მეტი სოციალური პასუხისმგებლობის როლის აღება საზოგადოებაში, მაგალითად, იმ ოჯახების მონახულებით, რომლებსაც შეიძლება ჰყავდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრები და დახმარების შეთავაზება მათთვის. მათ შეუძლიათ ეწვიონ სკოლებს და ხანდაზმულთა დაწესებულებებს და ესაუბრონ მოსწავლეებს და ხანდაზმულებს ჯანმრთელობის საკითხების შესახებ, დახმარება გაუწიონ მოვლის დროს და ა.შ. ეს ასევე შეიძლება მოხდეს თსსუ – ს საავადმყოფოებში, სადაც მაგალითად პირველი და მეორე კურსების სტუდენტები დაეხმარებიან პაციენტებს შესაბამის ადგილებზე გადანაწილებაში. პაციენტის საავადმყოფოში მოხვედრა ხშირად შემაშფოთებელია, რადგან საავადმყოფო მასშტაბური და ხალხმრავალია და პაციენტებს უჩნდებათ შიში დიაგნოზთან დაკავშირებით, რაც, შესაძლოა, მოითხოვდეს ქირურგიულ ჩარევას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასწავლო გეგმისა და კომპეტენციის რუკის კარგი დოკუმენტაცია.
- სილაბუსები თითოეული საგნისთვის, თუმცა არა სტანდარტიზებული.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

გუნდმა მიიღო რჩევები წინა გარე შეფასებიდან / აკრედიტაციიდან შემდეგ სფეროებში:

- გარკვეული ინტეგრაცია ადრეულ კლინიკურ და მოგვიანებით ბიოსამედიცინო მეცნიერებებთან
- კრედიტების რიცხვის გაზრდა არჩევითი საგნებისთვის

გერიატრიის დამატება

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპეტენციების რუკა აჯამებს ცოდნის, უნარებისა და პროფესიონალიზმის მოთხოვნებს დარგობრივი სტანდარტებისა და დონის მიხედვით, რაც მიიღწევა ექვს-წლიანი პროგრამის განმავლობაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 1.2 კრიტერიუმში ნათქვამია: "შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განათლება განაგრძონ შემდეგ ეტაპზე". თვითშეფასების ანგარიშში არ არის ნათლად აღწერილი სხვადასხვა კურსდამთავრებულთა წარმატება სხვადასხვა სერტიფიცირების გამოცდების ჩაბარების დროს.

ცენტრის კიდევ ერთ კრიტერიუმში ნათქვამია, რომ "პროფესიონალ პერსონალს გააჩნია პროფესიული განვითარების შესაძლებლობები" სტუდენტების სწავლის შედეგების დადგენის, გაზომვის და ანალიზის თვალსაზრისით. საკმარისი მტკიცებულება იყო ფაკულტეტების განვითარების მრავალ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მათ შორის AMEE კურსები, ასევე არსებობდა საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ზედამხედველობს ფაკულტეტების განვითარებას. ფაკულტეტმა დააფინანსა ეს ტრენინგი. სხვადასხვა ინტერვიუების დროს, ჯგუფი დარწმუნდა, რომ სტუდენტების გამოხმაურება გათვალისწინებული იქნა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ფაქტიურად, „ახალი“, პრობლემაზე ორიენტირებული ინტეგრირებული სასწავლო პროგრამა იწყება 2021 წლის სექტემბერში, ქართულენოვანი პროგრამის პილოტირების შემდეგ. ეს ცვლილება განხორციელდა სტუდენტების გამოხმაურების საპასუხოდ, შინაარსის ზოგიერთ პუნქტთან დაკავშირებით. გარე გამოხმაურებამ გამოიწვია დამატებითი არჩევითი საგნების ჩართვა და უფრო ვერტიკალური ინტეგრაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები ინფორმაციის მთავარი წყარო იყო ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ (შეფასება);
- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- თსსუ-ს ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ინდივიდუალური ელექტრონული უკუკავშირი, რომელსაც მოსწავლეები იღებენ შეფასების შემდეგ. გვითხრეს, რომ ამ დროის განმავლობაში სტუდენტებს შედარებით შეუზღუდავი წვდომა აქვთ პერსონალზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიწყო მუშაობა ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს იყო ძირითადად ვერტიკალური ინტეგრაცია, რომელიც იმსახურებს შექებას, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ჰორიზონტალური ინტეგრაცია სტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის, რაც დასტურდება გასაუბრებების დროს, ასევე ინფორმაციის წყაროებით ვებ – გვერდიდან, სოციალური ქსელიდან და სხვა აქტივობებიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ყოველწლიურად აქვს ღია კარის დღეები, მრავალფეროვანი საორიენტაციო შეხვედრები, გამოფენები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

დაშვების წესი ემყარება "უმალესი განათლების შესახებ კანონის" 52-ე მუხლს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის წინაპირობა შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და სწავლის შედეგებთან.

მობილობა დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აუცილებელი პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

ინტერვიუების დროს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებისგან მივიღეთ სხვადასხვა პასუხი დაშვების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ქიმია რთულია. თუ სავალდებულო არ არის გქონდეთ ცალკეული საგნები, როგორებიცაა ქიმია და ფიზიკა, უმჯობესია შესაბამის მოდულებში შევიდეს ქიმიისა და ფიზიკის რელევანტური თემები. ეს შეამცირებს გამოცდების რაოდენობას, რომლებიც უნდა ჩააბარონ სტუდენტებმა, და ხელს შეუწყობს ინტეგრაციას. ბიოქიმიამ უნდა განსაზღვროს, რა არის საჭირო ქიმიაში. ფიზიკა ხშირად კავშირშია ფიზიოლოგიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;

- თვითშეფასების ანგარიში;
- თსსუ-ს ვებგვერდი;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ";
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესი სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარების შესახებ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შესაძლოა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სტანდარტის 60%-მდე გაზრდა + ინგლისური ენის ცოდნის უკეთესი შეფასება (წერა, მოსმენა, საუბარი და ა.შ.). ეს შეიძლება დაგეხმაროთ პირველი და მეორე კურსიდან მნიშვნელოვან გადინებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან მივიღეთ განსხვავებული პასუხები. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ქიმია რთულია. თუ სავალდებულო არ არის გქონდეთ ცალკეული საგნები, როგორებიცაა ქიმია და ფიზიკა, უმჯობესია შესაბამის მოდულებში შევიდეს ქიმიისა და ფიზიკის რელევანტური თემები. ეს შეამცირებს გამოცდების რაოდენობას, რომლებიც უნდა ჩააბარონ სტუდენტებმა, და ხელს შეუწყობს ინტეგრაციას. ბიოქიმიამ უნდა განსაზღვროს, რა არის საჭირო ქიმიაში. ფიზიკა ხშირად კავშირშია ფიზიოლოგიასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბებულია „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესისა და პროცედურების“ შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. 2017 წლის 29 დეკემბერს დადგენილება N 41/2.

სამედიცინო პროგრამა შექმნილია ისე, რომ იგი აყალიბებს სტუდენტების ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს (პროფესიონალიზმი) სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში (12 სემესტრი).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შინაარსი ეყრდნობა ბაზრის კვლევის შედეგებს და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, მოცულობა (360 ECTS კრედიტი) და სტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" და მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები, მედიცინა, სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

სწავლის ხანგრძლივობაა 12 სემესტრი. იგი მოიცავს 360 ECTS - კრედიტს, რომელთაგან 330 ECTS კრედიტი სავალდებულო მოდულია, 30 ECTS კრედიტი კი არჩევითი. სტუდენტმა უნდა დაფაროს 30 ECTS (საკრედიტო საათი) ერთი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამაში სასწავლო კომპონენტების განაწილება ზრდის ინტეგრაციის დონეს, კერძოდ, სწავლის დასაწყისში ხდება სტრუქტურების გაფართოება, მაგ. მოდულ N1-ში - საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა - შედის ორი საგანი (ანატომია და რენტგენოლოგია) და სტრუქტურული განაწილება მოდულებში N 2, 3 იგივეა. ფუნქციური თვალსაზრისით, სტუდენტებს ამის შესწავლა შეუძლიათ მესამე სემესტრიდან, ანუ მოდულ N9-ში - „ჰომეოსტაზი“ - სტრუქტურიდან ფუნქციამდე. ამ მოდულში სამი საგანია: ფიზიოლოგია, ბიოქიმია და ჰისტოლოგია.

სამედიცინო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და სწავლის შედეგზე.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ოთხი ეტაპისგან შედგება: I. საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და ბიოსამედიცინო მეცნიერებათა სწავლების ეტაპი (120 ECTS კრედიტი) II. პრეკლინიკური ეტაპი (60 ECTS კრედიტი) III. კლინიკური სწავლების ეტაპი (120 ECTS კრედიტი) IV. პრაქტიკის წელიწადი (120 ECTS კრედიტი)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- გასაუბრებები;
- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები;
- სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, დამატების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტრუქტურასა და ფუნქციას შორის უკეთესი ინტეგრაცია ადრეულ ეტაპზე. შესაძლებელია დამატებითი ინტეგრაცია, არა მხოლოდ ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურადაც. ჰორიზონტალური ინტეგრაცია იქნება სტრუქტურირებული და იფუნქციონირებს, როგორც ანატომია ფიზიოლოგიასთან, ბიოქიმიასთან და ა.შ. პრე-კლინიკური ეტაპი, როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას ამახვილებს სტრუქტურაზე და შემდეგ კი, მოგვიანებით, მიმართავს ფუნქციას. სტრუქტურა და ფუნქცია კლინიკურ პროგრამებთან ერთად სწავლებას უფრო შინაარსობრივს და აქტუალურს ხდის სტუდენტებისათვის. ეს შეიძლება მოგვარდეს ახალი "პრობლემაზე ორიენტირებული" სასწავლო გეგმით, რომელიც ამოქმედდება 2021 წლის სექტემბერში. ამით უნდა განისაზღვროს ძირითადი შინაარსი (საჭიროა იცოდეთ) და დამატებითი შინაარსი (სასურველია იცოდეთ). ძირითადი შინაარსი საჭიროებს მუდმივ განახლებას, რადგან ინფორმაცია მუშავდება ყოველ საათში. ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ განათლება შინაარსზე იყოს ორიენტირებული, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი, რომ გაიგონ, რაც არ იციან, უნდა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია და მიიღონ გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია მათ საჭიროებებს. ეს არის დროული და „საკუთარი თავისთვის“ სწავლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის მნიშვნელოვან მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ინტეგრირებულია თითოეულ მოდულში "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების მიღწევას და სწავლის შედეგებს.

ინტეგრირებული პროგრამის წარმოდგენილი ოთხი ეტაპი სრულად მოიცავს სფეროსთვის საჭირო და ზოგადი კომპეტენციების შემუშავებას. კომპეტენციები ვითარდება პროგრესული გზით, მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან ზუსტისკენ.

პირველ წელს შეისწავლება ბიოსამედიცინო, ჰუმანიტარული და ქცევითი მეცნიერებები. მე-3 კურსიდან (V სემესტრი) სტუდენტები ემზადებიან პრეკლინიკური კვლევებისთვის. VII სემესტრიდან სტუდენტი იწყებს კლინიკური კომპონენტების შესწავლას, ხოლო ბოლო წელი სრულად ეძღვნება პრაქტიკას, რაც ნიშნავს პრაქტიკული კომპონენტების დაუფლებას.

ECTS კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია ოფიციალური საკონტაქტო დროის და დამოუკიდებელი სასწავლო საათების შესაბამისად. შინაარსი დაფუძნებულია რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებზე. თითოეული კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შესაბამის დონეზეა. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს, რომლებიც ავითარებენ პროგრამის სწავლის შედეგს. თითოეული მოდულის შინაარსი და ECTS კრედიტის რაოდენობა შეესაბამება კურსის დაგეგმილ შედეგს.

ვინაიდან არსებობს კლინიკური არჩევითი საგნები, ისინი უკეთესად შეიძლება იქნეს მორგებული სტუდენტების საერთაშორისო მრავალფეროვნებას (73 ქვეყანა). ტროპიკული დაავადებები იქნება ერთ-ერთი ისეთი არჩევითი საგანი, რაც არის ინდოეთისა და შრი-ლანკას კურსდამთავრებულების შემოთავაზება, რადგან მათ მიუთითეს, რომ ტროპიკული

დაავადებების არჩევითი კურსი სასარგებლო იქნებოდა. მათ უნდა შეესწავლათ ტროპიკული დაავადებები და პრაქტიკა გაველოთ მშობლიურ ქვეყანაში. ზოგიერთი არჩევითი საგანი, შესაძლოა, ნაკლებ ინტერესს წარმოადგენდეს ბევრი საერთაშორისო სტუდენტისთვის, მაგალითად საკურორტო და სპა თერაპია. ეს რელევანტური იქნება საქართველოსა და ალბათ, სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- გასაუბრებები;
- დარგობრივი მახასიათებლები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (MD) საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე;
- სწავლის შედეგების რუკა და სასწავლო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საჭიროა უფრო მეტი არჩევითი საგანი მრავალფეროვანი საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ორიენტირებულია ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე. მათ გამოყოფილი აქვთ 10 კრედიტი პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად. პრაქტიკული უნარ-ჩვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნათა ჩამონათვალისგან (უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები. სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018).

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში 9 ECTS კრედიტი გამოყოფილია ქართული ენისთვის (სასწავლო პროცესის დასაწყისითანვე) და 10 ECTS გამოყოფილია სამეცნიერო უნარების შემუშავებისათვის. სამეცნიერო და კვლევითი უნარების შემუშავების შესაძლებლობა სტუდენტებს ეძლევათ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მაგ. სასწავლო კურსი - სამეცნიერო კვლევის საფუძვლები (3+3) იწყება მნიშვნელოვანი კვლევითი უნარებით, როგორცაა კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის ეთიკა და ა.შ. შემდეგ, მეცნიერული კვლევის უნარების გაღრმავება ხდება სხვა დისციპლინებში, რომლებიც ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში: მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა (2 კრედიტი) ეპიდემიოლოგია (3 კრედიტი), და ა.შ.

ადმინისტრაცია განუწყვეტლივ აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სამეცნიერო კონფერენციის შესახებ, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის შემთხვევაში კი სტუდენტები წერენ ნაშრომს, რომლებშიც ჩართულები არიან და ხელმძღვანელობას უწევენ დარგის სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (MD) საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ხელშეკრულებები აკადემიურ ბაზებთან;
- კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრის დებულება;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება.

რეკომენდაციები:

- ტრანსფერული უნარები, როგორც ასეთი, არ გამოვლენილა. ეს ეხება უფრო ფართო უნარ-ჩვევებს, მისწრაფებებს და ღირებულებებს, როგორცაა გლობალური მოქალაქეობა, ეფექტური თანამშრომლობა და ინდივიდუალური

<p>შესაძლებლობები.</p> <ul style="list-style-type: none"> • არ იყო 100%-ით გასაგები, თუ როგორ ჩაერთვნენ სტუდენტები კვლევაში. ჩანს, რომ დაინტერესებულთათვის ეს პროცესი ნებაყოფლობითი იყო. კვლევაში ჩართვის შესაძლებლობები არ იყო ნათელი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი პროგრამის სწავლების მეთოდები ემყარება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მთავარ მოთხოვნას. გამოყენებულია შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), ტუტორიალები, სიმულაციური სწავლება, „შებრუნებული საკლასო ოთახი" და ა.შ. ინტერვიუს მსვლელობის დროს ლექტორებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები.</p>

გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ყველა თანამშრომელმა იცოდა სწავლის/შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ, მაგალითად, მათ ახსნეს თავიანთი გამოცდილება CBCR (კლინიკური აზროვნება) კლასებსა და OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა)/ OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) გამოცდებთან დაკავშირებით. იგივე კითხვა დაუსვით სტუდენტებს და დავადგინეთ, რომ ყველა თანამშრომელმა და სტუდენტმა კარგად იცის სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდები.

კლინიკურ გარემოში სწავლება პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი მოიცავს საწოლთან სწავლებას, EPA-ს (სანდო პროფესიული საქმიანობა) და ა.შ. სწავლება ფასდება სამუშაოზე დაფუძნებული შეფასების (WPBA) საშუალებით. სამუშაოზე დაფუძნებული შეფასება მოიცავს რამდენიმე მეთოდს: Mini-CEX (მინი კლინიკური გამოცდა), შემთხვევაზე დაფუძნებული განხილვა და DOPS (პირდაპირი დაკვირვებისა და პროცედურული უნარები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურა;
- სტუდენტის ინდივიდუალური კურიკულუმის შემუშავების წესი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შეიმუშავეთ ერთი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა სწავლა/სწავლების მიდგომები და მათი განმარტებები, მაგ. ლექცია, პრაქტიკული, არჩევითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. ამგვარად, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთო ხედვა და მოლოდინები ექნებათ. ეს განმარტებები (და ვინ ახორციელებს მიდგომას) უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ლიტერატურას. 40 წლის განმავლობაში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის მუშაობის მცირე მტკიცებულება იყო, რადგან ბევრ სამედიცინო სკოლაში ხორციელდებოდა "PBL", მაგრამ ეს არ იყო PBL.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასება აფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 05.02.2007 ბრძანება N3-ს (ბრძანება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) და სტუდენტთა მიღწევების შეფასების წესს თსსუ-ში და გამოცდების ჩატარების წესს გამოცდებისა და უნარების ცენტრში, რომელიც დამტკიცებულია თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, N 24/4. 2019 წლის 26 თებერვალი.

პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია, ორიენტირებულია მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგების შეფასებაზე. ყველა კრიტერიუმი გაზომვადია, შეფასების რუბრიკები და ქულები დეტალურადაა აღწერილი სილაბუსებში.

თეორიული და კლინიკური დისციპლინების შეფასებისას გამოიყენება შეფასების შესაბამისი (განმავითარებელი, შემაჯამებელი) მეთოდები. ყველა მათგანი ორიენტირებულია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და სრულყოფაზე. პროგრამაში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა მიდგომა, როგორცაა MiniCex, OSCE, OSPE და ა.შ. ეს მეთოდები მოითხოვს სპეციალურ ინფრასტრუქტურასა და პროფესიონალ პერსონალს. ვიზიტისა და გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმარისი აპარატურა, ხოლო თანამშრომელთა უმრავლესობა გადამზადებულია და მზად არის შეფასების შესაბამისი მეთოდების განსახორციელებლად. უფრო მეტიც, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ OSCE გამოცდები უტარდებათ უკვე მრავალი წლის განმავლობაში.

ბოლო კლინიკურ წელს გამოიყენება სანდო პროფესიული საქმიანობა (EPA), ხოლო კომპეტენციის შეფასება ხდება სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების (WPBA)

გამოყენებით, რომელიც მოიცავს MiniCex, OSCE და OSPE-ს.

Assessment-ი თუ evaluation-ი (შეფასება). ამერიკელები იყენებენ "assessment"-ს და "evaluation"-ს ურთიერთჩანაცვლებადი პრინციპით, რაც ხშირად დამაბნეველია. ქართულს ენაში მხოლოდ ერთი სიტყვაა ამ თვალსაზრისით - შეფასება. სამედიცინო სფეროს პედაგოგების უმრავლესობისთვის "assessment" ეხება სტუდენტების შემოწმებას, ხოლო "evaluation" არის ის, რაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომ გააკეთონ მათი საგნების, კურსისა და ზოგადად, აკადემიური პერსონალის მიმართ. შემოგთავაზებდით ამ გამიჯვნით სარგებლობას. მე-3 სემესტრის ბიოეთიკაში გამოყენებულია "evaluation" ნაცვლად "assessment"-ისა. აკრედიტაციის დოკუმენტებიც იყენებენ "evaluation" ნაცვლად "assessment"-ისა.

შუალედური შეფასება (60%) ფაქტიურად არის სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა შეფასებების ჯამი. ამგვარად, შემოგთავაზებდით სახელის ჩანაცვლებას "შიდა-სემესტრული შეფასებით". კარგი ასპექტია ის, რომ ხდება უფრო მეტად დაყრდნობა სემესტრის განმავლობაში მიღებულ უამრავ შერჩევით შეფასებაზე, ვიდრე სემესტრის ბოლოს მიღებულ მაღალ პროცენტზე. უარყოფითი მხარე ისაა, რომ ფასდება თითქმის ყველაფერი, რასაც სტუდენტები აკეთებენ და ამ აქტივობებიდან ზოგიერთი საკმაოდ სუბიექტურია. ასე რომ, სტუდენტები არასოდეს არიან თავისუფალნი შეფასებისაგან.

შეფასებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეგულაციებს, მაგ. 60% შიდა სემესტრული და 40% საგამოცდო, ასევე განმარტებებს შეფასების მიდგომის ტიპების შესახებ, მაგ. ზეპირი, MCQ, OSPE, OSCE, WBA, mini-CEX და ა.შ. ასახავს ერთადერთი დოკუმენტი. ეს განმარტებები (და განხორციელება) უნდა იყოს გამოქვეყნებულ ლიტერატურასთან შეთავსებადი. მაგალითად, OSCE სადგურის ჩვეულებრივი ხანგრძლივობა 8-10 წუთია.

ზეპირი გამოცდები, ალბათ, ყველაზე ნაკლებად საიმედოა ყველა გამოცდას შორის და ზოგადად არ გამოიყენება, თუ ისინი არ ამოწმებს კომუნიკაციის უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, განსაკუთრებით სილაბუსები და კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლის წესი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- დადგენილ ვადებში პროგრამის დასრულებისა და გარიცხვის მაჩვენებლის მონიტორინგი;
- საგამოცდო და უნარების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესი სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარების შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სხვადასხვა დოკუმენტიდან შეფასების გაგება ადვილი არ არის, შესაძლოა შეუსაბამო ტერმინოლოგიის გამო. მაგალითები მოიცავს:

- Assessment-ი თუ evaluation-ი (შეფასება). ამერიკელები იყენებენ "assessment"-ს და "evaluation"-ს ურთიერთჩანაცვლებადი პრინციპით, რაც დამაბნეველია. ასევე, გვესმის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ქართული სიტყვა სამედიცინო სფეროს პედაგოგების, უმრავლესობისთვის "assessment" ეხება სტუდენტების შემოწმებას, ხოლო "evaluation" არის ის, რაც მოსწავლეებს მოეთხოვებათ რომ გააკეთონ მათი საგნების, კურსისა და ზოგადად, აკადემიური პერსონალის მიმართ. შემოგთავაზებდით ამ გამიჯვნიტ სარგებლობას. მე-3 სემესტრის ბიოეთიკაში გამოყენებულია "evaluation" ნაცვლად "assessment"-ისა. აკრედიტაციის დოკუმენტებიც იყენებენ "evaluation" ნაცვლად "assessment"-ისა. ამის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა "evaluation"-ის მთლიანად ამოღება და "assessment"-ითა და "ხარისხის უზრუნველყოფით" სარგებლობა.
- შუალედური შეფასება (60%) ფაქტიურად არის სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა შეფასებების ჯამი. ამგვარად, შემოგთავაზებდით სახელის ჩანაცვლებას "შიდა-სემესტრული შეფასებით". კარგი ასპექტია ის, რომ ხდება უფრო მეტად დაყრდნობა სემესტრის განმავლობაში მიღებულ უამრავ შერჩევით შეფასებაზე, ვიდრე სემესტრის ბოლოს მიღებულ მაღალ პროცენტზე. უარყოფითი მხარე ისაა, რომ ფასდება თითქმის ყველაფერი, რასაც სტუდენტები აკეთებენ და ამ აქტივობებიდან ზოგიერთი საკმაოდ სუბიექტურია. ასე რომ, სტუდენტები არასოდეს არიან თავისუფალნი შეფასებისაგან.
- "დადებითი და უარყოფითი" შეფასებების გამოყენება. არასდროს მსმენია ამ ფრაზების შესახებ. გირჩევთ, რომ ეს ტერმინოლოგია შეიცვალოს რაიმეთი "კომპეტენტურობის" ან "არაკომპეტენტურობის" შესაბამისად, ან "არაკომპეტენტურობის მინიმალურ კომპეტენციას". როდესაც ერთი სტანდარტი ადგენს გამოცდებს, ვიღაც განსაზღვრავს თუ ვინ არის მინიმალურად კომპეტენტური სტუდენტი, ანუ სწავლობს მედიცინას მეორე ენაზე, არ ესწრება ყოველთვის, იშვიათად არის ჩართული საუბარში და ა.შ.
- განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება. ეს ტერმინები არ იყო გამოყენებული რეგულარულად, თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ისინი იქნა გამოყენებული არასწორად, მაგ. პროფესიული კომუნიკაციის უნარები 1-ში, განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია მიმდინარე, შიდა სემესტრული დავალების მისათითებლად. განმავითარებელი შეფასება ნიშნავს, რომ "ნიშნის" წვლილი არ შეაქვს გადაწყვეტილების მიღებაში სტუდენტის ჩაბარების თუ ჩაჭრის თვალსაზრისით. სწორად, განმავითარებელი შეფასება გამოიყენება ფართო გამოხმაურების უზრუნველსაყოფად და, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებს სთავაზობს შეფასებას ახალი ფორმატის ზემოქმედებით. სტუდენტი არასდროს არ უნდა შეფასდეს შემაჯამებლად, ანუ ნიშნებით, რომლებიც გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად, მანამ, სანამ იგი წინასწარ არ გაეცნობა ამ შეფასების მიდგომას.

აქ უამრავი შეფასებაა. რჩევა მდგომარეობს იმაში, რომ შეფასებები შემცირდეს ზოგიერთი მათგანის შერწყმით და კომპეტენციებზე დაფუძნებული ჩააბარა/ჩაიჭრა გადაწყვეტილებების გაერთიანებით უნარების გარშემო:

- მაგალითად, პირველ სემესტრში, მიუხედავად 3-კრედიტიანი არჩევითი კურსის არასემესტრული ბოლო შეფასებისათვის, სტუდენტებმა უნდა დაწერონ 12 საათიანი გამოცდა, რომელიც არ მოიცავს მთელი შიდასემესტრულ მასალას. არ

შეიძლება ჩატარდეს ინტეგრირებული 2 საათიანი გამოცდა ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში?

- კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება ზოგადად არის ჩააბარა/ჩაიჭრა გადაწყვეტილება, ანუ არ იწერება ნიშნები. რაც შეეხება მილერის პირამიდას, რომელიც შემუშავდა 1990-იან წლებში, მას შემდეგ სამედიცინო განათლებაში მოხდა უამრავი ცვლილება. მათ შორის იყო ჩააბარა/ჩაიჭრა (ანუ მაჩვენებელი), კერძოდ კლინიკური უნარებისათვის, სადაც დაკვირვებისა და შეთანხმებული შეფასების სკალის გამოყენებით იღებენ გადაწყვეტილებას კანდიდატის კომპეტენციის შესახებ, რომ იყოს "უსაფრთხო" შემდეგზე დონეზე გადასვლის თვალსაზრისით. თუ არა, ისინი დაუბრუნდებიან საკითხს მოგვიანებით, გამოხმაურების მიღების შემდეგ, იმის თაობაზე თუ სად საჭიროებენ გაუმჯობესებას.
- გრძელვადიანი პორტფოლიო, სასურველია ელექტრონული, რომელიც აგროვებს ინფორმაციას ყველა შეფასების შესახებ, სტუდენტის მიერ სხვა მოთხოვნების თაობაზე მტკიცებულებების დამატებით, მაგ. საზოგადოებისთვის მომსახურება, კვლევითი მიღწევები. დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში პორტფოლიო წარმოადგენს შეფასების მიდგომას. თსსუ-ს აქვს სწავლის მართვის სისტემა (სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად), ამიტომ მას უნდა ჰქონდეს საჭირო სტანდარტების დაკმაყოფილების მტკიცებულების გრძელვადიანი შეგროვების შესაძლებლობები.
- OSCE ამოწმებს კლინიკურ უნარებს და არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთი უნარების შესამოწმებლად როგორცაა, მაგ. რენტგენის ინტერპრეტაცია, რომლის ტესტირება შესაძლებელია უფრო ეფექტიანი მეთოდით, როგორცაა MCQ, SAQ ან კლინიკური არგუმენტაციის პრობლემა. კიდევ ერთხელ, ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ასევე, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები იქნებიან თანამიმდევრულები.
- შეფასებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეგულაციებს, მაგ. 60% შიდა სემესტრული და 40% საგამოცდო, ასევე განმარტებებს შეფასების მიდგომის ტიპების შესახებ, მაგ. ზეპირი, MCQ, OSPE, OSCE, WBA, mini-CEX და ა.შ. ასახავს ერთადერთი დოკუმენტი. ეს განმარტებები (და განხორციელება) უნდა იყოს გამოქვეყნებულ ლიტერატურასთან შეთავსებადი. მაგალითად, OSCE სადგურის ჩვეულებრივი ხანგრძლივობა 8-10 წუთია. OSCE ამოწმებს კლინიკურ უნარებს და არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთი უნარების შესამოწმებლად, როგორცაა, მაგ. რენტგენის ინტერპრეტაცია, რომლის ტესტირება შესაძლებელია უფრო ეფექტიანი მეთოდით, როგორცაა MCQ, SAQ ან კლინიკური არგუმენტაციის პრობლემა. კიდევ ერთხელ, ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ასევე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები იქნებიან თანამიმდევრულები.
- შეფასება უნდა იყოს დაცვადი, თუკი მოხდება მისი გასაჩივრება. ეს ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური, რუბრიკებით და შეფასების შკალებით. ის ასევე უნდა იყოს სანდო.

ფაკულტეტმა უნდა განიხილოს შეფასების ერთეულის შექმნა, მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სხვადასხვა პროგრამის ყველა შეფასებას. თითოეულ შეფასებას უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების მონახაზი, რომელიც გაუზიარდება სტუდენტებს. ეს მეგზურობას გაუწევს შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შენებას, რაც უნდა განხორციელდეს ჩაბარებამდე. შეფასების სამსახური განიხილავს საჩივრებს და ზედამხედველობს საგამოცდო საბჭოს სხდომებს, სადაც მოწმდება თითოეული კითხვის ანალიტიკა (რაც შეიძლება ნიშნავდეს ერთი ან მეტი კითხვის მოხსნას) შეფასების გამოცხადებამდე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებაში მედიცინის ფაკულტეტის დეკანატიდან, კერძოდ, სამდივნოს წარმომადგენლებიდან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სტუდენტთა რეგისტრაციაზე, პერსონალური საქმეების შექმნაზე, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაზე და მის სისტემატურ განახლებაზე, რომლებიც ასევე, ორგანიზებას უწევენ ხელშეკრულებების გაფორმებას სტუდენტებთან, უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურებისათვის ინფორმაციას ცხრილების, სიების, დავალებებისა და სტუდენტების გადაადგილების შესახებ.

თსსუ-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ თვითმმართველობაში, რომელიც ფუნქციონირებს სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს აკადემიური პროცესის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, განახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით განსაზღვრულ სხვა აქტივობებს. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ითვალისწინებს მინიმუმ 2 საათს სტუდენტთა კონსულტირებისათვის. მეცადინეობებისა და კონსულტაციების განრიგები შეგიძლიათ იხილოთ როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე კამპუსში.

არსებობს ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელიც შეიცავს ცხრილებს, მასალებს, ლექციების ბმულებს და ა.შ. ყველა სტუდენტს აქვს პირადი დაშვება სისტემაში, რათა თვალყური ადევნოს საკუთარ აკადემიურ მიღწევებს უნივერსიტეტში და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მათი გაუმჯობესების შესახებ. ამ პლატფორმიდან მათ შეუძლიათ უშუალოდ დაუკავშირდნენ დეკანს ელ-ფოსტის მეშვეობით.

თსსუ-ში მოქმედებს სხვადასხვა სტუდენტური ორგანიზაცია, როგორცაა სტუდენტური თვითმმართველობა (სტუდენტთა პარლამენტი), სტუდენტური კლუბი „მეგი“, ინტელექტ-კლუბი, მედი სინემა და სხვ. უნივერსიტეტი ეხმარება ამ ორგანიზაციებს დაფინანსებით, რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტებში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებისა და კონფერენციების, ისევე როგორც მათში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტისათვის ინდივიდუალური კურიკულუმის ორგანიზების წესი, რომლის თანახმად განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს უწევს დახმარებას სწავლის გასაგრძელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობებით;
- თსსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი: <https://tsmu.edu/ts/>
- სტუდენტის ინდივიდუალური კურიკულუმის შემუშავების წესი; https://tsmu.edu/ts/images/file/akademiuri_sabchos_dadgenilebebi/Scan%20stud.ind.sasw.gemis%20shemushavebis%20wesi.pdf
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებების საფუძველზე გაირკვა, რომ კლინიკური უნარების ცენტრი ინდივიდუალური სწავლებით უზრუნველყოფს 200 სტუდენტს, რომელმაც კოვიდ 19 ით დაინფიცირდნენ. ამას დასჭირდებოდა ბევრი დაგეგმვა და დრო. კლინიკურ პერსონალთან ჩვენი საუბრისას გაირკვა, რომ ისინი ჩვეულებრივ ხელმისაწვდომი იყვნენ 24 საათის განმავლობაში იმ სტუდენტებისათვის, ვისაც ჰქონდათ მათი ტელეფონის ნომრები. პერონალმა ასევე შეატყობინა გუნდს, რომ COVID-ის დროს განხორციელდა ფართო ფსიქოლოგიური დახმარება. გამოკითხული სტუდენტები მაღლიერნი იყვნენ ყველაფრისათვის, რაც გაკეთდა იმისათვის, რომ მათ შეძლებოდათ სწავლის გაგრძელება.
- აკადემიური დახმარება შეფასების შემდეგ უზრუნველყოფილი იყო ელექტრონულად, უკუკავშირის გზით.
- ელექტრონული რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მეშვეობით.
- გასაუბრებებიდან ძირითადად გაირკვა, თუ როგორ ხვდებოდნენ უცხო ქვეყნების სტუდენტებს ქართულ საზოგადოებაში და როგორ შეიძლებოდა სტუდენტები კვლავ კავშირში ყოფილიყვნენ თავიანთ კულტურასთან. არის ორიენტაცია როგორც ქართულ კულტურაზე, ასევე თეატრსა და ცეკვაზე, ასევე, სპორტული აქტივობების შესაძლებლობებზე. აკრედიტაციის ერთ-ერთი სტანდარტი ეხება სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ბევრი სტუდენტი, ალბათ, 17-18 წლისაა და ბევრია წარმოშობით იმ ქვეყნებიდან, სადაც ქალები „დაცულები“ არიან. ასეთ ახალგაზრდა ასაკში უცხო ქვეყანაში ჩამოსვლა დიდ მხარდაჭერას მოითხოვს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ფაკულტეტის რეაგირება კოვიდ-19 პანდემიის დროს საერთაშორისო სტუდენტების დასაბრუნებლად ალტაცებას იმსახურებს. დეკანი მათ აეროპორტში ხვდებოდა შუალამის 1 საათზეც კი და უზრუნველყოფდა მათ განთავსებას საკარანტინო საავადმყოფოებში. ჩარტერული ფრენებისა და კარანტინის ხარჯები თსსუ-მ გაიღო.
- როგორც ჩანს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არის კარგი ურთიერთობა. სტუდენტები ენდობიან პერსონალს, ხოლო პერსონალი გულწრფელად არის დაინტერესებული სტუდენტების პროგრესითა და კეთილდღეობით. ეს შესაძლოა ასახავდეს იგივე ურთიერთობას, რაც, როგორც ჩანს, აქვს ადმინისტრაციასთან პერსონალს.

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც

აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს: აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი - 162, მოწვეული პერსონალი - 117, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - 206. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა ღია კონკურსის საფუძველზე, "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების" შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობებისათვის პერსონალის შერჩევა გამჭვირვალე და ნათელია.

ავილირების საკითხი განხილული იყო აკადემიურ პერსონალთან და აისახა მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს პროგრამას, ავილირებულია უნივერსიტეტთან.

დაწესებულებას ჩართული ჰყავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი საგანმანათლებლო, კვლევითი და ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში. მედია საშუალებები და უნივერსიტეტის ვებგვერდი გამოიყენება პერსონალის ინფორმირებისა და მასალებზე ხელმისაწვდომობისათვის. აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის და მეტი ასაკის პირის არჩევისა და განთავისუფლების წესისა და პირობების თანახმად, ემერიტუსის აკადემიური ხარისხი მიენიჭებათ და შესაბამისი ანაზღაურება ეძლევათ პროფესორებს დამსახურებისათვის.

პროგრამა დაკომპლექტებულია კვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განხორციელება, და ის კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასასრულისათვის. ყველა აკადემიური პერსონალის CV-მ დაადასტურა კომპეტენცია ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად.

აკადემიური პერსონალის სასწავლო/სამეცნიერო დატვირთვა განახლებადი და ინდივიდუალურია და განისაზღვრება შესაბამისი მოთხოვნებით, თითოეული

დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და რეგულირდება აკადემიური პერსონალის დატვირთვით. დეპარტამენტის საათობრივი აკადემიური დატვირთვა ვარირებს აკადემიური ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, მოცემული სემესტრის პროგრამების შესაბამისად. დატვირთვა ეფუძნება რექტორისათვის დეპარტამენტის უფროსის მიერ წარდგენილ მოხსენებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის შედგენა ხდება სემესტრისათვის, რაზეც ბრძანებას ხელს აწერს რექტორი. აკადემიური პერსონალის დატვირთვა სხვა უსდ-ებში, ასევე, რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ.

სამუშაო კვირა უსდ-ს მიერ განსაზღვრულია კვირაში 39 საათით აკადემიური პერსონალისთვის, მათ შორის 32 საათით ადგილზე. საკონტაქტო საათებით დატვირთვა განსხვავებულია კლინიკური და თეორიული დეპარტამენტებისათვის. ესაა 11 საათი პროფესორისათვის, 16 საათი ასოცირებული პროფესორისათვის და 21 საათი ასისტენტ-პროფესორისათვის. კლინიკურ დეპარტამენტებში ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვა აკადემიური პერსონალისთვის არის: 10 საათი პროფესორებისათვის, ასოცირებული პროფესორებისათვის 14 საათი და ასისტენტ-პროფესორებისათვის 18 საათი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას და დაგეგმილია "პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგიით".

უსდ ატარებს პერსონალის გამოკითხვას უნივერსიტეტში, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ცდილობს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები და უზრუნველყოს პერსონალის კმაყოფილება უმაღლესი სასწავლებლით.

დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირია. იგი პირადადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი გამოცდილება, განათლება და კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამის მდგრადობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პერსონალთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია თსსუ პროგრამების მიხედვით;
- მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დებულება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა კვოტის

განსაზღვრის წესი;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> კლინიკური უნარების ცენტრი შთამბეჭდავია თავისი მასშტაბით, აღჭურვილობითა და პერსონალით. დირექტორმა აღნიშნა, რომ თსსუ არის ევროპის სიმულაციური ჯგუფის მხოლოდ წევრი, თუმცა სურს შეიტანოს განაცხადი აკრედიტაციის მისაღებად. ეს იქნება შესანიშნავი ნაბიჯი. ის შეიძლება გახდეს CPD-ის სერტიფიცირების ცენტრი და იყოს შემოსავლების შემომტანი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ახორციელებს სამეცნიერო/აკადემიური და მოწვეული პერსონალის ორმაგ შეფასებას ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიერ. შეფასების დროს ყურადღება ექცევა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობების შეფასებას.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უსდ ახდენს სამეცნიერო მუშაობისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში აკადემიური პერსონალის ინტეგრაციის სტიმულირებას (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე რეცენზირებად ჟურნალებში) სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების მექანიზმით. პერსონალი აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, ანგარიშგასაწევია უსდ-ს კვლევითი ხარჯები.

უსდ მხარს უჭერს და ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პიროვნულ განვითარებაზე. სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში არსებული "აკადემიური განვითარების ცენტრი" (მოქმედებს 2012 წლიდან) უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის რეგულარულ ტრენინგს სამედიცინო განათლების თაობაზე. ტრენინგებს ატარებენ უცხოელი და ადგილობრივი სამედიცინო განათლების ექსპერტები. 2019 წელს გაიხსნა "სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი", სადაც ცნობილი საერთაშორისო სამედიცინო განათლების ექსპერტები ატარებენ ტრენინგებს სამედიცინო განათლების აქტუალურ საკითხებზე.

უსდ "ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში მაღალტექნოლოგიური თანამედროვე აღჭურვილობის, რეაგენტების, ექსპერიმენტული ცხოველების შესყიდვით სამეცნიერო კვლევებისათვის და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინებების დაფინანსებით".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- თსსუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

AMEE რეგიონალური ცენტრი სამედიცინო განათლების ტრენინგებით, მათ შორის ESME კურსით, რომელიც წარმოადგენს კურიკულუმის შედგენისა და კონსტრუქციული შესაბამისობის საფუძველს. გასაუბრებებიდან ჩანს, რომ ბევრმა თანამშრომელმა გაიარა კურსები. ესენი ზოგადად ინგლისურ ენაზეა, ასე რომ, არსებობს კითხვები მათ შესახებ, ვინც არ ფლობს ინგლისურ ენას.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის - დიპლომირებული მედიკოსის - მატერიალური რესურსები სწავლების, კლინიკური და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისათვის, შეესაბამება სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტებს. უსდ არის მრავალი განყოფილებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე სამი ჰოსპიტლის მფლობელი. პრეკლინიკურ-თეორიული ნაწილი ტარდება უნივერსიტეტის მთავარ შენობაში, რომელიც, ასევე, საკმარისია სასწავლო პროცესის ძირითადი მიზნების მისაღწევად.

უსდ-ს გარემო უსაფრთხოა სტუდენტებისა და პროგრამის პერსონალისათვის. პერიოდულად ხდება უსაფრთხოების შემოწმება.

შენობები აღჭურვილია თეორიული სწავლების საკლასო ოთახებით, ადმინისტრაციული სათავსოებით, ჯგუფური მუშაობის სივრცეებით, ბიბლიოთეკით, დარგის სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიებით, სასწავლო ოთახებით, არქივებით, სადიაგნოსტიკო ოთახებით, საოპერაციო ოთახებით, პალატებით. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერებით, კონდიციონერ-გათბობა-ვენტილაციის სისტემით. უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. თსსუ-ში არსებული გარემო ადაპტირებულია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების

მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისადმი.

უსდ-ს საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებიდან გამოყენებულია: 375 ლეპტოპი, 407 კომპიუტერი, 150 პროექტორი, 204 ერთეული საბეჭდი და ასლის გადამღები მოწყობილობა, 159 მონიტორი (პროგრამის თითო სტუდენტზე 2.4 ერთეული ტექნიკური მოწყობილობა), ასევე 1506 ერთეული სამედიცინო აღჭურვილობა (0.45 ერთეული სამედიცინო მოწყობილობა თითო სტუდენტზე).

უსდ ტექნოლოგიურად - ინტერნეტი, Wi-Fi დაფარვა და ა.შ. - სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის დღევანდელ საჭიროებებს და მონაცემთა უსაფრთხოებას.

უსდ-ს საბიბლიოთეკო რესურსები საკმაოდ მნიშვნელოვანია და ორიენტირებულია უნივერსიტეტის პროფესორების, მკვლევარების, ყველა დონის სტუდენტებისა და რეზიდენტების ინფორმაციულ მხარდაჭერასა და სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით. სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, კონდიციონერებით და ა.შ. ბიბლიოთეკაში სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ მრავალფუნქციური პრინტერები და პროექტორები. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის კვირაში 6 დღე, 60 საათის განმავლობაში. უსდ-ს წიგნების ფონდი უზარმაზარია და განახლება ხდება უსდ-ს საჭიროებების შესაბამისად. სტუდენტებსა და პერსონალს გააჩნია სრული ხელმისაწვდომობა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე: თსსუ-ს შექმნილი აქვს WHO პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზებით (HINARI, AGORA, OARE, და ARDI) სარგებლობის ლიცენზია. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მეშვეობით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის ორ საძიებო სისტემაზე: 1. ScienceDirect - 2200 აკადემიური ჟურნალის და 25000-ზე მეტი სრულ ტექსტიანი ელ-წიგნების ბაზაზე. 2. Scopus - რეფერირებული სამეცნიერო ლიტერატურის უმსხვილეს მონაცემთა ბაზაზე - სამეცნიერო კვლევის, სტატისტიკის, ციტირების ინდექსის და მკვლევართათვის სხვა ღირებული მანაცემების საინფორმაციო ჰაბზე.

თსსუ-სა და ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალ BMJ- ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, კლინიკის ექიმებს, რეზიდენტებს და უფროს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ ორ რესურსზე BMJ - BMJ Best Practice და BMJ Learning და გამოაქვეყნონ მათი პუბლიკაციები 2019 წლამდე უფასოდ.

ბიბლიოთეკის მუშაობის შესაფასებლად, ტარდება სტუდენტების გამოკითხვები საბიბლიოთეკო მომსახურებების, მათ შორის, ლიტერატურის, სასწავლო მასალებისა და კურსების სილაბუსებში ახალი პროფესიული ინფორმაციის წყაროების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- გასაუბრებები;
- ვიზიტი კლინიკური უნარების ცენტრში;

<ul style="list-style-type: none"> ○ ვიზიტი თსსუ-ის კლინიკურ ობიექტებზე.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კლინიკური სტუდენტებისათვის ადგილზე საგანმანათლებლო ობიექტების არსებობა კარგი პრაქტიკაა. ○ ანალოგიურად, კლინიკური სტუდენტებისათვის ადგილზე არის პირადი სივრცე და საშუალებები. ○ ბიბლიოთეკა მდიდარია რესურსებით და დაკავშირებულია სწავლის მართვის სისტემასთან.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კლინიკური უნარების ცენტრი შთამბეჭდავია თავისი ზომით, აღჭურვილობითა და პერსონალით. დირექტორმა აღნიშნა, რომ თსსუ მართალია არის ევროპის სიმულაციური ჯგუფის წევრი, თუმცა სურს შეიტანოს განაცხადი აკრედიტაციის მისაღებად. ეს იქნება შესანიშნავი ნაბიჯი. ის შეიძლება გახდეს CPD-ის სერტიფიცირების ცენტრი და იყოს შემოსავლების შემომტანი.
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მთავარი ფინანსური რესურსი არის სასწავლო პროცესი, სტუდენტთა სწავლის გადასახადი. ფაკულტეტის ბიუჯეტი ფართოა და მოიცავს ყველა ხარჯს. ჩანს, რომ პროგრამას ჰყავს საკმარისი სტუდენტი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საკმარისი შემოსავალი.

ფაკულტეტის მატერიალური ბაზის ბიუჯეტი (29 000 150 ლარი) და ტექნიკური ბაზა სრულიად საკმარისია პროგრამის სწავლების პროცესისა და კვლევითი კომპონენტების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- გასაუბრებები;
- თსსუ-ს 2020 წლის ბიუჯეტი;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის 2020 და 2021 წლების ბიუჯეტები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თუკი პირველიდან მეორე კურსზე სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი გაუმჯობესდება, გაიზრდება მდგრადობაც მომავალში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თსსუ-ს ადმინისტრაციის/მენეჯმენტის სტრუქტურული ერთეულებია. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობას არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება (მუხლი 17 - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და 22 მუხლი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი/ფაკულტეტის სამსახური) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (https://tsmu.edu/ts/images/dxp/Tbilisis-saxelmwifo-samedicino-universitetis-wesdeba-5afed39d1ce1e.pdf და https://tsmu.edu/ts/images/dxp/xarixis-uzrunvelyofis-samsaxuris-debuleba-1524138847.pdf).</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.</p>

თსუ-ში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ისინი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე, განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები და განაცხადი სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ") თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავა რამდენიმე პროცედურა, წესი და კრიტერიუმი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი, რომლებიც ითვალისწინებენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას (<https://tsmu.edu/ts/content/5/0/0/0/0/0>). თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის # 24/2 დადგენილებით დამტკიცებულია "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი". შეფასების წესები და კრიტერიუმები საჯაროდ ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებგვერდზე (<https://tsmu.edu/ts/content/5/129/0/0/0/0>).

დიპლომირებული მედიკოსის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და გაუმჯობესება ხორციელდება "დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას. გასაუბრებების დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი რეგულარულად მონაწილეობენ დიპლომირებული მედიკოსის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლებასა და გაუმჯობესებაში. წარმოდგენილია შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის: სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; განხორციელდა ახალი მოდულების დამატება, ახალი არჩევითი საგნების დამატება და არჩევითი საგნების მოცულობის გაზრდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის: სტუდენტების გამოკითხვას, სასწავლო პროცესისა და საგამოცდო მასალების მონიტორინგს, გამოცდების, აკადემიური მოსწრების ანალიზს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, სამეცნიერო კვლევითი აქტივობების შეფასებას და ა.შ.

შეფასებების ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფას ახორციელებს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი წარმოადგენდა თვითშეფასების გუნდის ნაწილს. ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაში. ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან და დაგეგმილია თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, პროგრამის

ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. Covid-19-ის გამო, 2020 წელი ორიენტირებული იყო დისტანციურ განათლებაზე გადასვლაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 მარტის # 23/3 დადგენილებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება".
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიზნები და განაცხადი;
- "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები", დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის # 24 / 2 დადგენილებით;
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის #24/6 დადგენილებით დამტკიცებული შეფასების წესები და ფორმები;
- შეფასების შედეგები (თვითშეფასების ანგარიში დანართი 15)
- ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების გუნდის შეხვედრების ოქმები;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნათელია, რომ თსსუ-ს მიერ გამოიყენება გარე შეფასების მექანიზმი. "საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" და "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" თანახმად, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, აკრედიტაციის (2015 წლის) და ავტორიზაციის (2018 წლის) ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალის მიერ. გარდა ამისა, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებისათვის, 2018 წლის 22-26 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ნიუკასლის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორ-ემერიტუსი.

გარე მიმოხილვის თანახმად, სულ უფრო მეტი და მეტი ყურადღება ექცევა სტრუქტურირებულ შემთხვევათა განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევების ანალიზს და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას. წინა აკრედიტაციის შემდეგ დაიწყო გერიატრიისა და სამეცნიერო კვლევის საფუძვლების სწავლება. გარდა ამისა, რიგ დეპარტამენტებში დაიწყო შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლა.

კოლეგიალური განმავითარებელი გარე შეფასების დროს მოწოდებული რეკომენდაციები და რჩევები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის პერსონალის მიერ. ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებული ცვლილებების მაგალითები მოწოდებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს (შემთხვევაზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელება, კლინიკურ გარემოსთან და პაციენტთან ადრეული კონტაქტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის გადაწყვეტილება;
- ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება;

<ul style="list-style-type: none"> ○ გარე შეფასების ანგარიში - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2018 წლის 22-26 ოქტომბრის ვიზიტის ანგარიში ○ გასაუბრებები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ში პროგრამის მონიტორინგი ტარდება რეგულარულად, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სხვადასხვა სახის შეფასების გზით. ეს შეფასებები, ძირითადად, წარმოებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მაგალითად, ელექტრონული პორტალი Survey Monkey გამოიყენება სტუდენტთა გამოხმაურებების შესაკრებად.

სხვადასხვა შეფასებისთვის შედგენილია სათანადო კითხვარები და ხელმისაწვდომია თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის ვებგვერდზე, მათ შორის კითხვარები სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულებისთვის (<https://tsmu.edu/ts/content.php?id=5&aid=130&bid=0&cid=0&did=0&eid=0&lang=en>). გარდა ამისა, დამსაქმებელთა და პერსონალის თვითშეფასებისთვის თსსუ-ს მიერ მოცემულია დამატებითი შეფასების კითხვარები, თვითშეფასების ანგარიშის დანართ 15-ში (ხარისხის უზრუნველყოფა).

დიპლომირებული მედიკოსის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებას და სრულყოფას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული რამდენიმე შეფასების შედეგების საპასუხოდ, ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და მასში მონაწილეობას იღებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების შეფასებათა ანალიზი მოცემულია თსსუ-ს მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართ 15-ში (ხარისხის უზრუნველყოფა).

გასაუბრებების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ყოველი კურსის ბოლოს შეუძლიათ შეაფასონ კურსი, კურსის შეფასების ფორმის შევსებით და აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გამოკითხვებში. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურსის შეფასების შედეგებს ისინი იყენებენ კურსის გასაუმჯობესებლად. სტუდენტების მოსაზრებების საპასუხოდ ცვლილებები შევიდა პრაქტიკის ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად, შეიცვალა ცხრილები, ჩანაცვლდა კურსები, განახლდა სასწავლო მასალები და ლიტერატურა.

ინტერვიუში მონაწილე პერსონალმა ვერ გაიხსენა პროგრამის მონიტორინგში მათი აქტიური ჩართულობის მაგალითი, თუმცა, წარმოდგენილ იქნა გარკვეული კომენტარები პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, იგივე აღნიშნეს კურსდამთავრებულებმაც (გარკვეული კონკრეტული არჩევითი კურსების დანერგვა).

დაინტერესებული მხარეების მიერ კურსის შეფასება სავალდებულო არ არის, შესაბამისად, რეაგირების მაჩვენებელი ვარირებს 60-დან 70%-მდე, როგორც ეს აღნიშნა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ინტერვიუს დროს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწევს საგანმანათლებლო პროცესს, რაც მოიცავს გაკვეთილებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს.

გარდა ამისა, 2020/21 აკადემიური წლის შემოდგომაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონიტორინგი ჩაუტარა დისტანციური სწავლების პროცესს და შედეგები გათვალისწინებულ იქნა ონლაინ აკადემიური სერვისების გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 მარტის # 23/3 დადგენილებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება";
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიზნები და განაცხადი;
- "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები", დამტკიცებული თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის # 24 / 2 დადგენილებით;
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის #24/6 დადგენილებით დამტკიცებული შეფასების წესები და ფორმები;
- შეფასების შედეგები (თვითშეფასების ანგარიში დანართი 15);
- ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების გუნდის შეხვედრების ოქმები;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა